პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ. რუსთაველ ს პრ. № 31

პარასკ. 29 დეკემბერი 1922 წ.

წელიწადი მეორე

№ 179 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 179


# საბჭოთა მეათე ყრილობა და წითელი არმია.

მეცხრე საბჭოთა ყრილობამ გადაისროლა ლოზუნგი შეფობის.

შეფობის ლოზუნგმა ფართო გამოძახილი ჰპოვა სხვადასხვა ორგანიზაციებში, წითელი არმიის ნაწილები იშვილა საბჭოებმა და პროფორგანიზაციებმა.

საბჭოთა მთავრობას, თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობაში, არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეღო იმდენი თანხა და რესურსები, რომ წითელი არმიის მატერიალური და სხვა სახის მდგომარეობა სასურველ დონეზე დაეყენებია. წითელ არმიას სჭიროდა ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი, თბილი და სინათლიანი ბინა, კულტურულ მუშაობისათვის მასწავლებლები და სახელმძღვანელოები და სხვა. ყველა ეს იწვევდა უამრავ ხარჯებს, რომლის დაფარვა საბჭოთა მთავრობის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

მეცხრე საბჭოთა ყრილობის მოწოდებამ, რომ ადგილობრივ სახელმწიფოებრივ და პარტიულ ორგანიზაციებს აეღოთ თავის თავზე ნაწილობრივი დახმარება წითელი არმიის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, შეფობის მიღების სახით, უდიდესი ნაყოფი გამოიღო.

ერთის მხრივ შეფებმა შეძლებისდაგვარად გაუწიეს მატერიალური დახმარება წით. არმიის ნაწილებს. შეაკეთეს წითელი ყაზარმა, გააუმჯობესეს საზრდო, ფეხზე დააყენეს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა ჯარში და სცდილობენ ყოველმხრივ დაეხმარონ, რომ ყაზარმული ცხოვრება წითელ არმიელებისა შეიქმნეს ნამდვილ ლაბორატორიად სადაც მათ მიეცემათ საშუალება მიიღონ, როგორც სამხედრო, ისე სხვა სახის ცოდნა განვითარება.

მეორეს მხრივ შეფობამ უდიდესი როლი შეასრულა წითელ-არმიელთა მუშებთან და გლეხებთან დაახლოების საქმეში. წითელი არმიის მშრომელ მასასთან დახლოებას შეუძლია მჭიდროთ, ორგანიულათ დააკავშიროს წითელი ჯარი მცხოვრებლებთან. წინათ, ნიკოლოზ მეფის და საერთოდ ბურჟუაზიის ჯარი თუ საგანგებოთ განცალკევებული იყო მშრომელი მასებისაგან და მათი უვიცობით ებრძოდენ თავიანთ თანამოძმეებს, მუშებსა და გლეხებს, ბურჟუაზიის სასარგებლოთ, ეხლა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. წითელი არმია დაახლოებულია მუშებთან და გლეხებთან და მან უკვე იცის რომ ის არის მშრომელი ხალხის სადარაჯოზე დამდგარი. მშრომელმა ხალხმაც იცის, რომ წითელი არმია არის მუშათა და გლეხთა მთავრობის დამცველი და ამისათვის არ იშურებს თავის წვლილს, რომ წითელ-არმიელთა მატერიალური და სულიერი განვითარების მდგომარეობა სათანადო ნიადაგზე დადგეს.

შეფობის იდეა მოედო მთელ საბჭოთა ფედერაციას და თანდათან მრავლდება შეფები.

მეათე საბჭოთა ყრილობაზე ფართოდ იქნება აღნუსხული შეფების დახმარების შედეგები.

მეათე საბჭოთა ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილება, რომ წითელი არმიის მუშებთან და გლეხებთან დაახლოების საქმე სწრაფის ტემპით განვითარდეს. ამასთან ერთად მეათე ყრილობა მიიღებს ზომებს, რომ წითელი ყაზარმის ცხოვრება ყოველმხრივ გაუმჯობესდეს, რომ მასზე დაკისრებული დავალებანი პირნათლად შეასრულოს.

გაუმარჯოს წითელი არმიის შეფებს და მათ ზრუნველობას წითელი ჯარის მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებების საქმეში.

# დაიჭირეთ კავშირი გაზ. „წით. არმიელთან.“

სამსახურიდან განთავისუფლებულო წითელ არმიელო! როცა არმიაში იმყოფებოდი შენ დაისწავლე კითხვა შენი გაზეთის „წითელ არმიელის“. ამ გაზეთში შენ თვით სწერდი ყაზარმაში ცხოვრების შესახებ, იმ ნაკლზე და შეცდომაზე, რომელსაც შენ ამჩნევდი ნაწილებში. ამ გაზეთში შენ ყოველთვის შეგეძლო წაგეკითხა და გაგეგო, როგორი მუშაობა სწარმოებდა წითელ არმიაში, როგორი მეცადინეობა მიდიოდა, პოლიტიკური ცხოვრების, რა და რა საკითხები იყო უფრო საჭირო, რომ გაეცნო წითელ არმიელს. კიდევ უფრო სასიამოვნო იყო შენთვის ალბათ წაკითხვა შინიდან მოწერილი ცნობების, იმის შესახებ თუ როგორი მოსავალი იყო შენს მხარეში, როგორ მიმდინარეობს იქ ბრძოლა სოფლის „კულაკებთან,“ არის თუ არა იქ ყაჩაღ-ბანდიტები და სხვა. ეხლა როცა შენ ბრუნდები შინ უამბე შენს სოფელს ჩვენი გაზეთის შესახებ და ნუ დაჰკარგავ კავშირს ამ გაზეთთან. მიაწოდე გაზეთს წერილები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა თქვენს ყანებში. როგორ შეგხვდებიან შენ შენი ძველი მეგობრები, როგორ ეწყობი სოფლის მეურნეობას არმიაში ყოფნის შემდეგ, სად ისწავლე წერა-კითხვა და აღიზარდე პოლიტიკურად. ჩვენ გამოგიგზავნით გაზეთს შენს სოფელში, მხოლოდ ნუ შესწყვეტ ჩვენთან კავშირს, რომ კვლავ იცოდე რას აკეთებენ შენი ამხანაგები წ. არმიელები, იყავი შეგნებული მოქალაქე და მით შენ მოუტან სარგებლობას სხვებს.

სერგო ეგიკოვი.

# გაზეთ „წითელ-არმიელის“ კვირეული

გაზეთ „წითელ არმიელის“ ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს: პირველ სამთო საარტილ. დივიზიონმა ხუთი მილიონ ორას ოთხმოცდა ექვსი ათას მანეთი (5.286,000).

ამიერ-კავკასიის კოოპ. ცენტ. კავშირმა ხუთი მილიონი მანეთი (5,000,000).

ცენტ. „ტრამოტმა“ სამი მილიონი მანეთი (3,000,000).

სახალხო შრომის კომისარიატმა, ხუთი მილიონი მანეთი (5,000,000)

# წითელ ყაზარმის შვილებს.

ამ დღეებში უნდა გაუშვან წით. არმიელები დაბადებულნი 1900 წ. რომელთა მიმართ არის ჩემი სიტყვა.

ამხანაგებო თქვენ მიციხართ ლეგიონიდან თქვენს სოფლებში, თქვენს საყვარელს სახლში იმ მოკლე ხანში, რომელიც თქვენ დაჰყავით ჯარში თქვენ მიიღეთ რამოდენიმე ცოდნა, რომელიც საჭიროა მხედრისთვის და მოქალაქისთვის; იმ მოკლე ხანში, რომელიც თქვენ დაჰყავით ჯარში ბევრმა თქვენგანმა შეისწავლეთ წერა-კითხვა, ბევრს თქვენგანს აეხილა თვალები, და სცანით ავი და კარგი. თქვენ აი ამ წითელ ყაზარმაში მოგეცათ საშუალება გაზეთის და წიგნების კითხვისა, რომლის საშუალებით გებულობდით ყოველივეს, თუ რა ხდებოდა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში და მთელს ქვეყანაზედ—თქვენ ხედავდით და გრძნობდით იმ მჭიდრო ძმურ კავშირს, რომელიც იყო უფრ-შემადგენლობასა და წით. არმიელთა შორის. თქვენ კარგათ ხედავდით მას, რომ თქვენი უფროსები თქვენთვის მარტო უფროსები არ იყვნენ, არამედ მასწავლებლები, რომელთაც სურდათ მთელი თავისი ცოდნა თქვენთვის გადმოეცათ, რომ თქვენ შეგნებულათ სამხედრო საქმეში დახელოვნებულებას მტკიცეთ და მედგრათ დაგეცვათ საბჭოთა ხელისუფლება. თქვენც კარგათ ნახეთ შედეგი ამისთანა ძმური კავშირისა—არა ერთხელ და ორჯერ მოდიოდნენ ჩვენთან მუშები და მთავრობის წარმომადგენლები არა, როგორც უფროსები არამედ, როგორც ამხანაგები, რომელნიც ეცნობოდნენ ჩვენს მდგომარეობას და ყოველივე ნაკლს დაუყოვნებლივ გვიმსებდნენ, ხშირად გვიმართავდენ ბაასს სხვა და სხვა კითხვებზე თუ რა ხდება ქვეყანაზე, და გვაფრთხილებდენ, რომ ფხიზლათ ვმდგარიყავით ჩვენს სადარაჯოზე, რომ დაუძინებელი ჩვენი მტრები ბურჟუა კაპიტალისტები და მათი მხარში მდგომი სინდის და ნამუს გასული მენშევიკები და ესერები მოულოდნელათ არ დაგვცემოდნენ, არ შეერყიათ საბჭოთა ხელის უფლება.

თქვენ კარგათ ნახეთ და შეისისხლხორცეთ, თუ რა კეთილი შედეგი მოგვიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, თქვენ სწავლებას, სამხედრო ხელოვნებას, წერა კითხვას და სხვას.

ამხანაგებო თქვენ ეხლა მიდიხართ სახლში მაგრამ იქ უნდა წაიღოთ ის ცოდნა, რომელიც მიიღეთ აქ აუხსენით თქვენს ძმებს, მამებს და დედებს, თუ რა წესწყობილებაა საბჭოთა ხელისუფლება, ჩააგონეთ მათ რომ ერთათ ერთი წესწყობილება, რომელიც იცავს მუშის და გლეხის ინტერესებს, ეს არის საბჭოთა ხელისუფლება; ჩააგონეთ ყველას რომ ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა გამაგრებულია იმდენათ, რომ არავითარ მტერს მისი შერყევა არ შეუძლია. თუ ამხანაგებო, ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა კაპიტალმა გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ თქვენ ყველამ ერთათ შემოკრბით თქვენი საყვარელ, წითელი დროშის ირგვლივ, რომ საერთო ძალით დავამხოთ მოსული მტერი...

გზა მშვიდობისა ამხანაგებო, გისურვეთ მშვიდობიან და ნაყოფიერ მუშაობას—გისურვებთ, რომ თქვენ ყოფილიყოთ ბრწყინვალე მაგალითი სინათლის შეტანაში თქვენს სოფლებში.—

**„გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ ლაშქარს“**

**გაუმარჯოს მშვიდობიან შრომას**




**— იტალიის 1923 წ. ბიუჯეტი გულისხმობს 5 მილიარდ ლირის დეფიციტს.**

**— სამხრეთ აფრიკაში გაფიცვებში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასაჯეს ორი კაცი.**

**— გერმანიის დისც. სასამართლოს დადგენილებით რკინის გზელებს ეკრძალებათ გაფიცვების თავისუფლებით სარგებლობა.**

**— ფინლიანდიის სეიმში ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა წაართვეს დეპუტატის უფლება კომუნისტ დეპუტატს.**

**— საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ უარჰყო რეფორმისტების წინადადება, არჩევნებში სხვა პარტიებთან ერთად გამოსვლისა.**

# საბჭოთა მეათე ყრილობა

**ამხ. მესიაცევის მოხსენება სასოფლო მეურნეობის აღდგენის შესახებ.**

საღამოს სხდომაზე მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. მესიაცევმა გააკეთა ვრცელი მოხსენება სასოფლო მეურნეობის აღდგენის შესახებ.

მომხსენებელმა გაათავა სიტყვა მოწოდებით, რომ სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩაბმულ იქნეს საუკეთესო პარტიული და საბჭოთა ძალები და გარკვეული ყურადღება მიაქციოს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას.

**ამხ. სტალინის მოხსენება საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის შესახებ.**

— 26 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. სტალინმა გააკეთა მოხსენება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ, „საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კამპანია დაიწყო 4 თვის წინად აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ.

საბჭოთა რესპუბლიკების შორის არსებული კონვენცია საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო შეიქნა საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება. ჩვენი რესურსების ნაკლულოვანობა მოითხოვს სამეურნეო საშუალებათა ეკონომიას. საბჭოთა რესპუბლიკების მხოლოდ ეკონომიური გაერთიანება მოგვცემს საშუალებას მომჭირნეთ დავხარჯოთ ჩვენი სამეურნეო საშუალებანი. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ისტორიულ შექმნილი შრომის დანაწილება სხვა და სხვა რაიონებსა და რესპუბლიკებს შორის. ჩრდილოეთი ყოველთვის აწვდიდა სამხრეთს მანუფაქტურას, სამხრეთი კი აწვდის ჩრდილოეთს პურს, ბამბას და სხვა ნედლ მასალას, ხოლო ასეთი განაწილება სამეურნეო დარგში შეუძლებლად ხდის რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონების განცალკევებულად არსებობას.

(შემდეგი იქნება)

# ლოზანის კონფერენცია.

**მოსულის ოლქის საკითხი.**

— ოსმალეთის დელეგაციამ ბრიტანეთის მემორანდუმის საპასუხოდ მოსულის საკითხის შესახებ, აღნიშნა ყველა ის მიზეზები ეთნოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ხასიათის, რომლის ძალით ოსმალეთს არ შეუძლია უარი სთქვას მოსულის ოლქზე.

**მსოფლიო პატრიარქის საცხოვრებელი ადგილი.**

— მცხოვრებთა გადაცვლის ქვეკომისიამ განიხილა პატრიარქის საკითხი. საბერძნეთის დელეგატმა კაკლამანოვმა განაცხადა, რომ საბერძნეთს არ შეუძლია მიიღოს არც ერთი წინადადება, რომელიც წამოყენებულია პატრიარქის საკითხის შესახებ, ოსმალეთის უკანასკნელ დეკლარაციაში და საბერძნეთი დაჟინე-

ბით მოითხოვს მსოფლიო პატრიარ-ქის სტამბოლში დატოვებას. შემდეგ კაკლამანმა განაცხადა, რომ საბერძნეთის დელეგაცია კატეგორიულ უარს ამბობს მსოფლიო პატრიარქის სტამბოლიდან გადაყვანის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

— ათინის გაზეთები იუწყებიან, რომ საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა დათმობის გზაზე არ წავიდეს პატრიარქის საკითხში, იმ შემთხვევაშიც თუ მოკავშირეებმა გაიზიარეს ოსმალეთის თვალსაზრისი.

**ხანგრძლივი თათბირი.**

— პარიზიდან იუწყებიან, რომ ლოზანის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგატებს ბონპერს და ბარერს ორი დღით პარიზში ყოფნის დროს, ხანგრძლივი თათბირი ქონდათ პუანკარესთან.

**პოლონეთი.**

**პოლონეთის პრეზიდენტის დეპეშა მილიერანს.**

— პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილიერანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ ის შეეცდება კიდევ უფრო განამტკიცოს და გააძლიეროს ძმობის და მეგობრობის კავშირი საფრანგეთსა და პოლონეთს შორის.

# ჩვენს წითელ ჯარში

## [illegible] კიდევ ერთი ამხანაგი ჩვენს რიგებში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ სამხედრო ხასპორტის სკოლის მე-2 რიგ ასეულის პოლიტ-ხელმძღვანელად იქნა ამხ. კ. მახარაძე. ამხ. მახარაძე მაშინვე შეუდგა [illegible] მუშაობას და დიდი პოლიტიკური საკითხებზე კურსანტების ბაზის გამართვა.

კურსანტები გულდასმით ისმენენ ყოველ მის სიტყვას და ითვისებენ, თუმცა ამ ნაყოფიერ მუშაობას ძლიერ აფერხებს ბინის უქონლობა.

ამხ. მახარაძე მაინც არ იტეხს გულს და განაგრძობს მუშაობას, კურსანტები მადლობას უცხადებენ; რომ მოძღვრის ასეთი განწყობილებით განაგრძოს თავისი შრომა [illegible] კურსანტების გათვითცნობიერებისათვის.

## ძლიერ გვ წინა.

ცოტა ხნის წინ ასეულს გვყავდა პოლიტხელმძღვანელად ამხანაგი სტურუა. დღემდე ამხანაგი სტურუა გვამეცადინებდა ენერგიულად. ყოველ კვირაში გვქონდა პოლიტიკური მეცადინეობა, ყოველ თავის დროს.

მთელი წ.-არმიელები გახარებული იყვნენ რომ ხედავდნენ საუკეთესო პოლიტხელმძღვანელს, მის გვერდში მდგომს. დღეს გავიგეთ რომ ამხანაგ სტურუას გადაყვანა, რაც ძლიერ საწყენათ დაურჩა მთელ ასეულს. ვუსურვებთ ამხ. სტურუას, როგორც ჩვენთან იყო ისე ენერგიულად ემუშავნოს სხვა ნაწილებში.

ც. მეცანგ. ას. სამკორი.

საჭიროების დროს ისინი მზათ არიან პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა. მათ კარგათ შეიგნეს საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა. მათთვის და მათ მიერ სახლში დატოვებული მოხუც მშობლებისათვის. მათ უკვე იციან, რომ ისინი არიან მოწვეულნი წითელ ლაშქარში თავიანთი ინტერესების და ხელისუფლების დასაცავად. ისინი მზად არიან ებრძოლონ მტრებს როგორიცაა ჩოლოყაშვილი, რომელმაც შეკრიფა თავისი დამქაში ყაჩაღ ბრბოები, თავი შეაფარა ყრუ ხევსურეთს, მოატყუა ხევსურეთის ყრუ მეგობრი ხალხი, გამოიყვანა ისინი ჩვენს წინაღმდეგ და დაღვრევინა ძმათა სისხლი. ჩვენმა წითელ მოლაშქრეებმა კიდეც დაამტკიცა თავისი გმირობა და ერთგულობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომლისაც ისინი თავგანწირულნი, შეუპოვრად ებრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ყაჩაღ ბრბოებს. ჩვენი წითელი არმიელების ასეთ აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენ სამხკომ ოზოლაძეს, რომელიც მადლობის ღირსია მისი პოლიტიკური მუშაობისა და დაუღალავ ენერგიის დახარჯვისათვის.

წით. მოლაშქრე: ა. ქუმსიშვილი.

## ჩვ ნც ვამაყობთ!

ჩვენს საარტილერიო დივიზიონს მოემატა წითელი კომანდირების ახალი კადრი. მოსვლისთანავე ისინი შეუდგენ, როგორც სამხედრო მეცადინეობას, ისე პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას, რასაც შედეგათ მოყვა გამოცოცხლება დივიზიონის პოლიტიკურ მუშაობის. წ. არმიელები მათ უყურებენ, როგორც თავიანთ უფროს ძმებს და მათი ყოფა ქცევით გახარებული ისინი ამაყობენ იმით, რომ მათმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ, აზარდა ახალი კადრი ღირსეული წითელი კომანდირებისა. დე! ლახვარი ჩაეცეთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, დეე, გაიგონ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენს წ. ლაშქარს მოემატა ახალი დაუშრეტელი რევოლუციონური ენერგია წითელი კომანდირების სახით, რომლებსაც შეუძლიანთ აღზარდონ წით. არმიელები, როგორც სა ხედრო ცოდნით, ისე პოლიტიკურათ ც.

შვლისყურელი.

## გურიაში განდიტების მოქმედება.

20 დეკემბერს, დილის რვა საათზე, როდესაც ეტლით მიდიოდა თავისი ცოლით ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ. მდინარაძე, დახვდნენ მას გზაში ბოროტი გამზრახველნი-ბანდიტები ს. ვაშლნარში სულ 8 კაცი და მოკლეს იქვე, ეტლშივე მეუღლის გვერდით. ე ცნობა უეცრივ მოუვიდა ჩვენს ძირითად სამოსწავლო ათასეულს. ექსპედიციის უფროსის ამხ. ალ. ოზოლაძის ბრძანებით იმავე წუთში გაიგზავნა ცხენოსანი ლაშქარი, რომელმაც დაიწყო დევნა გაქცეულ ყაჩაღებს. სოფ. ვაშლნარში იქნა დაკავებული რამდენიმე მაყურებელი პირნი, დასაკითხავად. მკვლელობის მიზეზი გამოირკვა ამგვარად; ამხ. მდინარაძე იყო ვალდებული, როგორც პარტიის ისე მილიციის წინაშე ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს გამოირკვა; რომ მ.ს ოზურგეთის მაზრაში ყოლია რამდენიმე კაცი მოკლული და სწორედ ამ მიზეზითაა მკვლელობა წარმომდგარი. ყაჩაღობს ჩვენ ჩამოსვლამდი ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩვენი ნაწილის ჩამოსვლის შემდეგ, ყაჩაღები თანდათან გვაბარებენ იარაღს. ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს ერთხელ და სამუდამოთ ჩასცეს სასიკვდილო ლახვარი და ბოლო მოუღოს ქურდბაცაცნაძირალებს.

სამხკ. დ. ჭანკვეტაძე

# საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

დაიმსხვრა ჯაჭვი ძმათა შორის მტრისგან გაბმული,
შურსა და მტრობას სამუდამოთ მოეღო ბოლო,
ძმური კავშირით გადაება ერთი მეორეს
მათში განმტკიცდა კომუნიზმის წმიდა სიმბოლო.

—

გუშინ თუ მტრულად შეჰყურებდენ ერთი მეორეს
სისხლის მსმელთაგან დაჩაგრული დაჭანგებული
დღეს კი, ურთიერთ თანაგრძნობით სოლიდარობენ
საბჭოთა ერებს ურთი ერთვის უძგერენ გული.

—

ვაშა მესვეურთ... დიად მცნების ლენინ და ტროცკის,
როელთაც შექმენს მსოფლიოში ცეცხლი და გრგვინა
და საქმე მათგან დაწყებული მუშათა კლასის
საისტორიო მაგალითით დაეგვირგვინა.

გოგიტო ციმბირელი.

# უკრაინის ყოფა-ცხოვრებიდან.

**ჯარის მდგომარეობა. საზღვრების მცველი რაზმები.**

მთავარ სარდალმა შეიარაღებულ ძალების უკრაინის ამხ. ფრუნზემ პრესის წარმომადგენლებთან სთქვა: მობილიზაცია 1901 წლიანების ჩატარდა სასურველად. გამოწვეულთა განწყობილება მშვენიერად არის.

მშრომელთა ფართო მასის დახმარებით სავაჭრო კომპანია უკრაინაში ჩატარდა კარგად.

ცხენოსანი ჯარი უზრუნველყოფილი არის საყაზარმო შენობებით. 50 პროცენტით—ტეხნიკური ნაწილით 70 პრ. ც. ბანდიტიზმი უკრაინაში უკვე სრულიად არ არის. მოხტ ალე შაიკებ ა დაკარგეს პოლიტიკური ელფერი და მხოლოდ ქურდბაც ცობას მიყვეს ხელი.

უკანასკნელ ხანებში პოლონეთის საზღვრიდან იყო გადმოჭრილი რამოდენიმე გუნდი ბანდებ სს, მაგრამ პირველ შეტაკების შემდეგ წითელ ჯართან ბანდა დაიფანტა და დაიმალა ან უკეთ, მოიქცენ პოლონეთის ტერიტორიაზე. უკრაინის მთავრობის მიერ მიღებული არის ზომები ამ საზიზღარების სამუდამოთ მოსპობისთვის. ჩვენ გადავწყვიტეთ მოკლე ხანში ჩვენი საზღვრები გავხადოთ მიუდგომლათ.

მსუმბუქი მრეწველობა უკრაინის ვითარდება სისწრაფით და ადგილებში აღწევს კიდეც ნორმას, რომელიც არსებობდა ომამდის. მძიმე ინდუსტრია განიცდის საშინელ კრიზისს, რომელიც ყველაზე მეტათ საგრძნობი არის დონბასში.

ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონით, დონბასე გამოვიყვანოთ ასეთ მდგომარეობიდან.

მეტალურგია უკრაინის განიცდის ცუდ დღეებს—რამოდენიმე საქალაქო ფეჩების მაგიერ მუშაობს მხოლოთ ორი.

შაქრის მრეწველობა ღორძინდება. დიდი შაქრის ქარხნები რემონტის შემდეგ შეუდგნენ მუშაობას. წელს უკრაინა გამოუშვებს 10 მილიონ ფუთ შაქარს დაახლოვებით.

უკრაინის სოფლები უკვე გასაბჭოებული არის, სწარმოებს დიდი მუშაობა სამოქალაქო ომისგან განადგურებულთა ალსადგენათ. კიევში, ხერსონში და ეკატერინოსლავში. მთავარი წყლულები უკვე მორჩენილი არის.

## გზა მშვიდობისა...

წითელ არმიელთა 1900წ
და ნაცვალთა 1897--8--9
წლიანთა გაშვების გამო.

და, თქვენ მიდიხართ,
შინ, ვალ მოხდილნი—
გზა მშვიდობისა!..

ყველაფრის ცოდნით
უკვე აღზრდილნი—
ღირსი ნდობისა.

ნახვამდის, ძმებო!
ო, გესალმებით
გმირ ამხანაგებს;

და ვთხოვთ ყაზარმებს
წითელ ალმებით,
თქვენით ანაგებს.

და მადლიერი
თქვენი მთავრობა
გაცილებს ტაშით!

ამაყი იყოს
თქვენი მგზავრობა
მტერთა დარტყმაში!..

ოდეს ჩვენს მხარეს
მუშა და გლეხთა—
დასჭირდით თუ-კი:

ფიცხლივ გამოჩნდით
მრისხანე მეხათ,
როს გესმოთ ბუკი!

თქვენ უბრუნდებით:
მშობლებს, ნაცნობებს—
შრომის ველებზე.

ახალ მოლაშქრეთ
ყველა აცხობებს,
რომ მის ხელებზე

ვით ძველებურად
ხუნდი აღარ დევს
მონა სალდათის;

და წითელ დროშა
სიმღერა აღწევს
ახალ ადათის.

და იკრიბება
ნორჩი ჯარები
თქვენს მაგიერი.

რათა, როგორც თქვენ
დაჰკრან ზარები,
ბრძოლის ძლიერი!..

თქვენ უბრუნდებით
შრომის კერას
გამარჯვებულნი.

მიწაზე, გუთნით
დაიწყებთ წერას
ახალ ჩვებულნი:

პროლეტარებო
მთელი ქვეყნისა,
მჭიდროთ შეერთდით!

ბევრი ჩვენგანი
—ომში თქვენთვისა
დაეცა მკერდით·

მარა... თუ მსხვერპლი
ეს არ გეყოფა—
ფრთხილად ვართ ყველა.

მუდამ მზათაა
შენდამი ტრფობა,—
და ჩვენი შველა!!!

დაშნა.

**ამხ. ლავრენტი ძნელაძე**

11 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა საინჟინერო ათასეულის წ.-არმიელი ამხ. ლ. ძნელაძე. ის პატიოსნად და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას წითელ ჯარში ყოფნის დროს, რითაც დაიმსახურა ამხანაგების პატივისცემა. მისმა გარდაცვალებამ ამხანაგებში დიდი მწუხარება გამოიწვია.

ვ. ხევდიშვილი.

## სამოსწავლო ძირითადი ათასეულის ცხოვრებიდან.

ჩვენი ათასეული წარმოადგენს ერთერთ თვალსაჩინო სამხედრო ნაწილს, საქართველოს სამხედრო ნაწილებ შორის. ჩვენი ათასეულის წითელ მოლაშქრე ძმა კარგად შეიგნეს თავიანთი მოვალეობა. ყოველ

# კულტურული მუშაობა

## სადამო წარმოდგენა

20 დეკემბერს ჩვენ სამოსწავლო ძირითად ათასეულში, სცენის მოყვარეებისაგან იყო გამართული წარმოდგენა წარმოდგენილი იქნა: „პარიზის კომუნის უკანასკნელი დღე." 1 მოქმედებათ. მეორე ნაწილში კი [illegible] კომედია ერთ მოქ. ალ. ობოლაძისა: „ყოფიალდი" ბოლოს კი კონცერტული ნაწილი, ცეკვა და სიმღერები კუპლეტებით. წარმოდგენიდან შემოსავალის 5 პროც. გადადებულ იქნა გაზ. „წითელ არმიელის სასარგებლოდ. ამავე დროს უნდა ავღნიშნო, რომ ამ სცენის მოყვარეთა წრეში იმყოფებიან ისეთი პირები, რომელთაც წარსული უმტკიცებს არა კეთილ მოღვაწეობას. ერთი ძველი ოფიცერია, მეორე ისეთივე ადიუტანტი, მენშევიკები და ნაციონალ დემოკრატები უფრო ხშირად ქეიფს ეძლევიან, იმის მაგივრად, რომ იმუშაონ და რაიმე გააკეთონ ხალხის საკეთილდღეოთ.

სამხკ. დ. ჭანკვეტაძე.

## ლექციებს ვი მენთ.

ცენტრალურ წითელ-არმიელთა კლუბის სამკითხველოს დარბაზში 27 დეკემბერს საღამოს 7 საათზე შესდგა ამხ. სუდაკოვის ლექცია პუნ ოვან სურათებით: „სამყაროს დასაბამი". დაესწრო 50 წით.-არ-ლი ლექცია იყო შინაარსიანი და დაინტერესა მსმენელნი. ყოველ ოთხშაბათობით სამკითხველოს დარბაზში საღამოს 7 საათზე გაიმართება ლექციები ასტრონომიიდ ნ რუსულ და ქართულ ენაზე. საჭიროა, რომ ამხ. წითელ-არმიელნი შესაფერისი ინტერესით მოეპყრონ ამ საქმეს, რომელიც უეჭველია დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ჯარს.

ე. ხ.